

განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატების შესახებ თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღების მიზეზს წარმოადგენს ნავთობისა და გაზის სფეროს მარეგულირებელი ორგანოს ეფექტური ფუნქციონირებისათვის საჭირო საკანონმდებლო ბაზის სისრულეში მოყვანა.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტი მიზნად ისახავს ნავთობისა და გაზის სფეროს მარეგულირებელი ორგანოს სამართლებრივ ფორმირებას, რათა უფრო მეტად იქნეს უზრუნველყოფილი სფეროს ეფექტიანი ფუნქციონირება, რაც თავის მხრივ ინვესტიციების მოზიდვის უზრუნველყოფას ვინაპირობაა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტი ითვალისწინებს დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტოს რეორგანიზაციას საქართველოს კონსტიტუციის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – ნავთობისა და გაზის ეროვნულ სააგენტოდ. სააგენტოს უხელმძღვანელებს სააგენტოს უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს პრემიერ-მინისტრი ენერჯეტიკის მინისტრის წარდგინებით. ამასთან, ნავთობისა და გაზის სფეროში საქმიანობისათვის უქმდება რეგულირების საფასური.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსების წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტი.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

სააგენტოს მიერ თავისი ფუნქციების განხორციელებისას მიღებული ყველა შემოსავალი ჩაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას ვერ მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე, ვინაიდან სააგენტოს ფუნქციონირებისათვის საჭირო იქნება დაახლოებით 25 საშტატო ერთეული. ამასთან, 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი უკვე ითვალისწინებს სსიპ - ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტოსათვის ასიგნების გამოყოფას 400 000 ლარის ოდენობით, რომელიც გადაეცემა ნავთობისა და გაზის ეროვნულ სააგენტოს.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებების არ ეკისრება.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

იმ პირობა მიერ, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტი, აღარ მოხდება რეგულირების საფასურის გადახდა, გამომდინარე იქიდან, რომ რეგულირების საფასური უქმდება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახადელის ოდენობის განსაზღვრის წესი/პრინციპი:

კანონპროექტით არ დგინდება ახალი გადასახადები, მოსაკრებლები ან სხვა სახის გადასახადი.

გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საქართველოს ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულ საქართველოს ხელშეკრულებებთან შესაბამისობაშია.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საქართველოს ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში:

კანონპროექტი შემუშავებასა და მოწოდებაში მონაწილეობას იღებდა დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო, სსიპ-ი – ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტო.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ. პროექტთან დაკავშირებით, წერილობითი შეფასება არ შემოსულა.

დ.გ.) კანონპროექტის ავტორი:
კანონპროექტის ავტორია საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო და საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის სამსახური.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი
კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პრეზიდენტი.